



სახელმწიფო აუდიტის სამსახური
გენერალური აუდიტორი



№ 002736/11

02/06/2020

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
ბატონ არჩილ თალაკვაძეს

ბატონო არჩილ,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 146-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგინებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის კორექტირებულ საბიუჯეტო განაცხადს, ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვისა და მუშაკთა ზღვრული ოდენობის შესახებ (თან ერთვის).

დანართი:

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის საბიუჯეტო განაცხადი.
2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის პრეზენტაცია - 12 ფურცელი.

ერეკლე მექვაბიშვილი
გენერალური აუდიტორი






სახელმწიფო
აუდიტის სამსახური






საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები და გამოწვევები 2021 წლისთვის

- ▶ საერთაშორისო სტანდარტებთან/მოთხოვნებთან შესაბამისობის მიღწევა (PEFA):
 - ბიუჯეტის დაფარვის კუთხით;
 - მუნიციპალიტეტების დაფარვის კუთხით;
- ▶ დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების აუდიტების ჩატარება;
- ▶ პარტნიორ უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციებთან ერთად პარალელური (Joint) აუდიტების ჩატარება;
- ▶ ჰორიზონტალური(სისტემური)აუდიტისმიმართულებისგაძლიერება;
- ▶ IT აუდიტის მიმართულების გაძლიერება;
- ▶ კადრების შენარჩუნება და განვითარება;
- ▶ რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებლის ზრდა;

საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები და გამომწვევები 2021 წლისთვის

	2019	2020	2021
PEFA - ბიუჯეტის დაფარვის მაჩვენებელის ზრდა	87% 12 მლნ ლარი	90% 13.9 მლნ ლარი	> 90 
PEFA – მუნიციპალიტეტების აუდიტების ზრდა	17 აუდიტი	18 აუდიტი	≈ 23 აუდიტი 
დონორების პროექტების აუდიტების ზრდა	1 აუდიტი	2 აუდიტი	> 3 აუდიტი 

საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები და გამოწვევები 2021 წლისთვის

	2019	2020	2021
პარალელური (Joint) აუდიტების ზრდა	1 აუდიტი	2 აუდიტი	≈ 3 აუდიტი 
ჰორიზონტალური (სისტემური) აუდიტების ზრდა	2 აუდიტი	3 აუდიტი	≈ 4 აუდიტი 
IT აუდიტების ზრდა	2 აუდიტი	2 აუდიტი	≈ 3 აუდიტი 

საქმიანობის პრიორიტეტული მიზანთუღებები და გამონჯეები 2021 წლისთვის

- ▶ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, არსებული რესურსის ოპტიმიზაციისა და პროდუქტიულობის გაუმჯობესების გზით ნაერთი ბიუჯეტის დაფარვის მაჩვენებელი 2017-2020 წწ. გაზარდა 81%-დან 90%-მდე. საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის საჭიროა ნაერთი ბიუჯეტის მინიმუმ 90%-ის დაფარვა, რისი მიღწევა, შენარჩუნება და შემდგომი ზრდა დაკავშირებულია მრავალი მცირე ბიუჯეტის უწყების აუდიტთან, რაც თავის მხრივ მოითხოვს დამატებით ადამიანურ რესურსს.
- ▶ PEFA შეფასების გაუმჯობესების მიზნით (მიმდინარე შეფასება C-D) აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნას ყველა მუნიციპალიტეტის (სულ 69) აუდიტით დაფარვა სამ წელიწადში ერთხელ მაინც, რომლის უზრუნველსაყოფადაც აუცილებელია ყოველწლიურად 23 აუდიტის ჩატარება. დღესდღეობით, არსებული რესურსით, სამსახური ყოველწლიურად ატარებს მხოლოდ 17-18 აუდიტს, შესაბამისად, საერთაშორისო მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით საჭიროა დამატებითი ადამიანური რესურსები;

საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები და გამოწვევები 2021 წლისთვის

ბოლო წლებში, გაიზარდა დონორი ორგანიზაციებიდან (WB, USAID) მათ მიერ დაფინანსებული პროექტების აუდიტორული შემოწმების მოთხოვნა.

აგრეთვე იზრდება სამსახურის ჩართულობა ერთობლივ აუდიტებში, რომლებიც ტარდება სხვადასხვა ქვეყნებთან ერთად და ეხება ყველაზე მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებს.

გემოაღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ აუცილებელია კვალიფიციური და სპეციალიზირებული ცოდნის მქონე (დონორების შესყიდვების პროცედურების, საერთაშორისო აუდიტებში გამოცდილების) შიდა საკადრო რესურსის შენარჩუნება, რაც მაღალკონკურენტულ გარემოში რთული ამოცანაა.

საქმიანობის პირობითური მიზანშეწონი და გამოწვევები 2021 წლისთვის

SAI PMF-ის სტანდარტი აუდიტის სამსახურებს სთხოვს - სისტემატურად ატარონ ჰორიზონტალური (სისტემური) აუდიტები. ჰორიზონტალური აუდიტი სისტემური ხარვეზების გამოვლენისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების შედეგად მათი აღმოფხვრის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რადგან ერთდროულად მრავალ უწყებაში ტარდება და ერთი აუდიტის ფარგლებში შეისწავლის კონკრეტულ და მნიშვნელოვან თემატიკას (მაგ: სახელმწიფო შესყიდვები, ავტოპარკი, ქონების მართვა და ა.შ.).

ჰორიზონტალური აუდიტების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შედეგებიდან და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებიდან გამომდინარე სამსახური გეგმავს ამ მიმართულებით განხორციელებული აუდიტების რაოდენობის ზრდას, რაც ასევე დამატებით და ამასთან მაღალკვალიფიციურ ადამიანურ რესურსებს მოითხოვს.

საქმიანობის პრიორიტეტული მიზანთუღებები და გამოწვევები 2021 წლისთვის

- ▶ აუდიტის ობიექტების ბიზნეს-პროცესები ხდება სრულად ავტომატიზებული, რაც წარმოადგენს გამოწვევას, რომლის საპასუხოდაც აუცილებელია, შესაბამისი კვალიფიციური IT აუდიტორების შენარჩუნება. აღსანიშნავია, რომ ასეთი კადრების მიმართ მოთხოვნა შრომის ბაზარზე მზარდია და შესაბამისად მაღალკონკურენტული, რასაც მოწმობს უკანასკნელ პერიოდში სამსახურიდან მაღალკვალიფიციური კადრების გადინება.
- ▶ საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის დადებული შეთანხმება ითვალისწინებს შემოსავლების აუდიტის განვითარების ვალდებულებას, რისი პრაქტიკაც ამ დროისთვის სამსახურს არ გააჩნია. აღსანიშნავია, რომ შემოსავლების აუდიტის ჩატარება დღის წესრიგში დადგება მაშინ, როცა მთავრობა მოამზადებს ცენტრალური ბიუჯეტის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რაც 2021 წლისთვის იგეგმება.

საქმიანობის პრიორიტეტული მიზანთუღებები და გამონწვევები 2021 წლისთვის

- ▶ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სას-ის სტრატეგიული ამოცანაა კვალიფიციური კადრების შენარჩუნება. 2019 წლიდან ბაზარზე მკვეთრად გაზრდილი მოთხოვნიდან და მაღალი ანაზღაურების შეთავაზებიდან გამომდინარე სამსახური დატოვა 15-მა კვალიფიციურმა აუდიტორმა (რაც აუდიტორული კორპუსის საშუალოდ 8%-ია), მათი ჩანაცვლება კი არაკონკურენტული ანაზღაურების პირობებში რთული პროცესია.
- ▶ იმისათვის, რომ სას-მა დააკმაყოფილოს ყველა ზემოაღნიშნული საერთაშორისო სტანდარტი/მოთხოვნა, ასევე განავითაროს საქმიანობა პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად, საჭიროა მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი, როგორც შესაბამისი საკადრო უზრუნველყოფის, ისე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების კუთხით, თუმცა დღეის მდგომარეობით ქვეყანაში არსებულ გამონწვევების გათვალისწინებით 2021 წლისთვის იგეგმება მხოლოდ გამართული (ნორმალური) ფუნქციონირებისა და კადრების შენარჩუნებისათვის აუცილებელი მინიმალური აქტივობები - ორი ძირითადი მიმართულებით:

საქმიანობის პრიორიტეტული მიზანთუღებები და გამონჯეები 2021 წლისთვის

1. არსებული (მიმდინარე) სტაჟირების პროგრამის დასრულებისას იგეგმება 20 სტაჟიორის დასაქმება;
2. არსებული კადრების გარკვეული ნაწილის დაწინაურება, რაც აუცილებელია მათი შენარჩუნებისთვის, რადგან საქართველოში მოქმედ უმსხვილეს აუდიტორულ კომპანიებში დასაქმებულ აუდიტორთა და მათთან გათანაბრებულ პროფესიული კადრების ხელფასები საშუალოდ 30%-ით აღემატება სას-ში არსებულ განაკვეთებს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში 2020 წელს შესული ცვლილებით, შეფასების შედეგების მიხედვით მოხელისთვის კლასის მინიჭება სავალდებულო გახდა, რის საფუძველზეც 2021 წლის ბიუჯეტში საკლასო დანამატი წინა წელთან შედარებით 52 ათასი ლარით იზრდება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის საბიუჯეტო განაცხადის შედეგება წინა წლის ხარჯთან და მიმდინარე წლის ბიუჯეტთან

ათასი ლარი

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი	2020 წლის ბიუჯეტი	2021 წლის ბიუჯეტის პროექტი	ზრდა ნომინალი	ზრდა %
შრომის ანაზღაურება	12,932	13,429	497	4%
საქონელი და მომსახურება	2,166	2,109	(57)	(3%)
სუბსიდია (სსიპ-ისტვის)	290	290	-	-
გრანტები	5	5	-	-
სოც. უზრუნველყოფა	540	540	-	-
სხვა ხარჯები	387	387	-	-
არაფინანსური აქტივები	135	51	(84)	(62%)
სულ	16,455	16,811	356	2%

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს წარდგენილ საბიუჯეტო განაცხადში, რომელიც ეხებოდა 2020-2023 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გამოსაყოფ ასიგნებებს, გათვალისწინებული იყო 3%-იანი ზრდა.

2021 წლის ბიუჯეტის პროექტი სრულ შესაბამისობაშია ზემოაღნიშნულ საპროგნოზო მაჩვენებელთან.

მადლობა ყუჩაქღებინსთვის

www.sao.ge